საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "20" 05 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 716/ბ

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 29 აპრილის N დმ-21517, დმ-21519 განცხადებით შპს „იონფაშ ჯორჯია"-ს (მის: ლიბანის ქ.6, თბილისი, საქართველო) წარმომადგენელმა თამილა გორნაკაშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ARTFLOOR CLICK LAMINAT PARKE LAMINATED FLOORINGA" (რეგ. N 22979) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ARTFLOOR CLICK LAMINAT PARKE LAMINATED FLOORINGA" (რეგ. N 22979) საქართველოში რეგისტრირებულია 28.09.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 28.09.2022 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-19 და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ARTFLOOR CLICK LAMINAT PARKE LAMINATED FLOORINGA" (რეგ. N 22979) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით მე-19 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 251, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.05.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „იონფაშ ჯორჯია"-ს წარმომადგენელს თამილა გორნაკაშვილს (მის: ქინძმარაულის შესახვ., კორპ.4, ბინა N46, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"20" 05 2013 წ.
ხელმოწერა

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
ქანცელარია